სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 264

ქ. თბილისი „ 26" ოქტომბერი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ნინო თოფურიძის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ფარმატექი"** (შემდგომში "მიმწოდებელი), მისი გენერალური დირექტორის კობა ნაროუშვილის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე - 3 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფ. მარინა ზარქუას 2018 წლის 23 ივლისის N15/02-1900 მოხსენებითი ბარათისა და ამავე ფაკულტეტის 2018 წლის 11 სექტემბრის N 04-2018 ოქმის თანახმად, "***საზომი ხელსაწყოები"- ს (CPV 38300000), „ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები"-ს (CPV 38400000), და საკონტროლო და გამოსაცდელი აპარატურა"-ს CPV 38500000), შესყიდვა.***

№	დასახელება	cpv	რაოდ (ცალი)	ფასი	ჯამი
1	ციფრული სასწორი - Ohaus SP X123 Scout Portable Balance 120 G x 0.001.g	38310000	1	1800	1800
2	ციფრული ph მეტრი - Ohaus ST2100-F Benchtop Ph Meter with Temperature, 0.01 pH	38416000	1	1800	1800
3	ბიოლოგიური მიკროსკოპი 14 მპ ციფრული კამერით - OMAX 40X – 2500X Full Size Lab Digital Trinocular Compound LED Microscope with 14 MP USB Camera and 3 D Mechanical Stage	38510000	1	2800	2800
4	მიკროსკოპი ბინოკულარი - Amscope 40X-2500X LED Lab Siedentopf Binocular Compound Microscope with 3-D Double Layer Mechanical Stage	38510000	10	1350	13 500
	ჯ ა მ ი :				19 900

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: ***19 900.00 (ცხრამეტი ათას ცხრაასი) ლარს.***

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ***ამავე უნივერსიტეტის 2018 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.***

4. *ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება*

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61.

6. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

6.1. ***შემსყიდველი უფლებამოსილია:***

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.2. ***შემსყიდველი ვალდებულია:***

- უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. *ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი*

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი მარინა ზარქუა.
7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. *პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის*

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. *დაუძლეველი ძალა*

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
9.2. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. *ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. *დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. *სხვა პირობები*

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, 2 (ორი) ეგზ შემსყიდველთან და 1(ერთი)ეგზ მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შ.პ.ს. „ფარმატექი"
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N5
ს/კ 205224700	ს/კ 220101836
მ/ზ _ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს „თი ბი სი ბანკი"
ბ / კ TRESGE22	ბ/კ TBCBGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _7 0904 7004	ანგ.№ GE85TB7674936020100001
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ნინო თოფურიძე	კობა ნაროუშვილი